ხელშეკრულება №213

ქ. ბათუმი 12 ივლისი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „სახანძრო უსაფრთხოება“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ფრიდონ მგელაძის სახით, შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული და მეორეს მხრივ სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა დუმბაძის სახით, შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი თანახმაა დამკვეთს კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების კოდის 35100000 (საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები) თანახმად მიაწოდოს:

1) 6 ცალი ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი ОУ-2 , ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 120 ლარს დღგ-ის გარეშე,
2) 6 ცალი ევაკუაციის გეგმა А3 ჩარჩოთი, ქართულ და ინგლისურ ენაზე, გრაფიკაში შესრულებული და А3 ქაღალზე ამობეჭდილი, ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 80 ლარს დღგ-ის გარეშე,

ხოლო დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანად სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათასორასი) ლარს დღგ-ის გარეშე.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის(გამარტივებული ანგარიშფაქტურის)) გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

2.3. დამკვეთი ახდენს ანგარიშსწორებას მომსახურების შესრულების შემდეგ შემსრულებლისაგან წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

2.4. მომსახურების მიღების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

2.5. დამკვეთი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ხარისხის მითითებით.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით მომსახურების მიღებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება <u>უნაღდო</u> ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობით შესწორების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1 შემსრულებელმა შემკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებელ ვადებში არ შეუძლია შეუსრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე დავალება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას:

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.3 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო 0,5 %-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი
ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შემდეგ.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეები-სათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს
მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულებას.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

12. გადასახადი და ბაჟები

12.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13 . სხვა პირობები

13.1. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისაგან შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა და სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანი ანაზღაურება.

13.2. შემსრულებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს დამკვეთის ქონებას სამუშაოს წარმოებისას.

13.3. შემსრულებელი პასუხს აგებს დამკვეთის ქონების დაზიანებისას გაუფრთხილებლობის დროსაც.

13.4. შემსრულებელს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაზიანების რისკი დამკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა დამკვეთი აყოვნებს მიღებას.

13.5. სამუშაოს შესრულებამდე გაწეული ხარჯები ეკისრება შემსრულებელს.

13.6. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა. მის: ქობულეთის რ-ნი, სოფ. დაგვა საიდენტ. № 246 994 212	შპს „სახანძრო უსაფრთხოება" მის: ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. 68 საიდენტ. №445 391 326 ანგარიშის № GE 44 TB 7493736020100002 თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22
დირექტორი: ბ. დუმბაძე	დირექტორის მ/პ: ფ. მგელაძე

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ათი წლის **ჩვიდმეტ დეკემბერს**, მე, ნოტარიუს ლეილა ჭედიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 17. მომმართა შპს **"სახანძრო უსაფრთხოება"** -ს (რეგისტრირებული 22.11.2010წ. საიდენტიფიკაციო **№445391326** იურიდიული მისამართი: ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №61) დირექტორმა, ქალბატონმა **ირმა ციწაძემ**(დაბადებული 06.03.1970წ., ბათუმში მცხოვრები: ბათუმი, გ.ლეონიძის ქ. №6ა, ბინა 21 პირადი № 61001057951) , რომელმაც განაცხადა, რომ სურს წინამდებარე მინდობილობის შედგენა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **ფრიდონ მგელაძეს**(დაბადებული: 19.09.1965წ., ქედაში, მცხოვრები: ბათუმი, გ.ლეონიძის ქ. №6ა, ბინა 21, პირადი №61002009218)მე დავადგინე მისი პირადობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე, მან მკაფიოდ და წათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ათი წლის **ჩვიდმეტ დეკემბერს**, შპს **"სახანძრო უსაფრთხოება"** -ს დირექტორმა, ქალბატონმა **ირმა ციწაძემ**, რომელიც ამ მინდობილობაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც "მიმნდობი" ბატონ **ფრიდონ მგელაძეს**, რომელიც მოხსენიებულია, როგორც "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას **"სახანძრო უსაფრთხოება"** -ს ინტერესები საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებში, მინდობილი პირი უფლებამოსილია შეუზღუდავად მართოს სს **„თიბისი ბანკის"** ბათუმის ფილიალში შპს **"სახანძრო უსაფრთხოება"** -ს სახელზე გახსნილი ნებისიერი ტიპის ანგარიშები; აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია თანხის შეუზღუდავი ოდენობით გადარიცხვა, შეტანა-გატანის ჩათვლით, მიიღოს ანგარიშიდან და ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის, ნაშთების შესახებ და სხვა), ხელი მოაწეროს და მიიღოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. ასევე, მინდობილი პირი უფლებამოსილია საქართველოს ნებისმიერ ბანკში გახსნას შპს **"სახანძრო უსაფრთხოება"** -ს სახელზე საბანკო ანგარიშები და აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია თანხის შეუზღუდავი ოდენობით გადარიცხვა, შეტანა-გატანის ჩათვლით, მიიღოს ანგარიშიდან და ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის, ნაშთების შესახებ და სხვა), ხელი მოაწეროს და მიიღოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. გადაიხადოს გადასახადები და მოაგვაროს ყველა ფორმალური მხარე, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალების შესრულებასთან.

მინდობილი პირი ვალდებულია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მიმნდობს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

მინდობილობა გაცემულია 10(ათი) წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლეილა ჭედიასთან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

წინამდებარე მინდობილობა მიმნდობს წაუკითხა ნოტარიუსმა. მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით მას პირადად მოაწერა ხელი.

მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი ლარი + დღგ 1.80+ ორი ლარი რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის საქართველოს კანონის (11 ივნისი,1998წ., № 1417 II -ს) 29–ე, 31¹-ე და სსკ-ის 245-ე მუხლებისა.

მიმნდობის ხელმოწერა _____

ნოტარიუსი:_____/ლეილა ჭედია/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

19157097315110

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N101264102

რეგისტრაციის თარიღი

17.12.2010 წ

ნოტარიუსი: ლეილა ჭედია
მისამართი: ბათუმი,კ.გამსახურდიას ქ.17
ტელეფონი: (888 222) 7-38-80

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

მომსახურების მიღება-ჩაბარების

აქტი

ქობულეთის რ-ნი, სოფ. დაგვა 14 ივლისი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „სახანძრო უსაფრთხოება“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ფრიდონ მგელაძის სახით, შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული და მეორეს მხრივ სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა დუმბაძის სახით, შემდგომში „დამკვეთის“ სახით, ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის 2016 წლის 12 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები:

სახელმწიფო შესყიდვების კოდის 35100000 (საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები) თანახმად მიაწოდოს:

1) 6 ცალი ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი ОУ-2 , ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 120 ლარს დღგ-ის გარეშე,
2) 6 ცალი ევაკუაციის გეგმა А3 ჩარჩოთი, ქართულ და ინგლისურ ენაზე, გრაფიკაში შესრულებული და А3 ქაღალზე ამობეჭდილი, ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 80 ლარს დღგ-ის გარეშე,

„შემსრულებელმა“ შეასრულა, „დამკვეთმა“ მიიღო და მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნია.

შესრულებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათასორასი) ლარს დღგ-ის გარეშე.

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა. მის: ქობულეთის რ-ნი, სოფ. დაგვა საიდენტ. № 246 994 212	შპს „სახანძრო უსაფრთხოება“ მის: ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. 68 საიდენტ. №445 391 326 ანგარიშის № GE 44 TB 7493736020100002 თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22
დირექტორი: ხ. დუმბაძე	დირექტორის მ/პ: ფ. მგელაძე

ფორმა N 868

ინვოისი
INVOICE
40

შპს სახანძრო უსაფრთხოება | 4 | 4 | 5 | 3 | 9 | 1 | 3 | 2 | 6 | - | -

გამყიდველის დასახელება — საიდენტიფიკაციო ნომერი

ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ. №68

მისამართი

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბვას საჯარო სკოლა | 2 | 4 | 6 | 9 | 9 | 4 | 2 | 1 | 2 | - | -

მყიდველის დასახელება — საიდენტიფიკაციო ნომერი

ქობულეთის რ-ნი, სოფ. დაბვა

მისამართი

14 ივლისი 2016 წელი

თარიღი

დღგ	-	-
	სერტიფიკატის #	გაცემის თარიღი

ს/ს თიბისი ბანკი

მომსახურე ბანკის დასახელება

GE44TB7493736020100002

ანგარიშის ნომერი

TBCBGE22

ბანკის კოდი

-

სახაზინო კოდი

უნაღდო

გაყიდვის პირობები

შენიშვნა:

შპს „სახანძრო უსაფრთხოება" არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს

N	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი ოუ-2	ცალი	6	120	**720,00**
2	ევაკუაციის გეგმა	ცალი	6	80	**480,00**
3					
4					**0,00**
5					**0,00**
6					**0,00**
7					**0,00**
8					**0,00**
9					**0,00**
10					**0,00**
				სულ ასანაზღაურებელია	**1200,00**

თანხა სულ ერთიათასორასი ლარი და ნული თეთრი

სიტყვიერად

დამკვეთი ______________

ხელმოწერა

ხელმძღვანელი

ან სხვა უფლებამოსილი პირი ______________

ხელმოწერა